ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№2 (32) თებერვალი 2010 წელი

წმ. მეფე დავით აღმაშენებელი

ლოცვით ყველაფერი ძიერწევა

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ღვთივკურთხეულ შვილებს

25-სა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო, გვამცნობს შობის საგალობელი. აღსრულდა საუკუნოვანი მოლოდინი კაცობრიობისა: დედამიწაზე მობრძანდა უფალი ხსნად ჩვენდა ყოველისაგან ჭირისა და ინროებისა, შუღლისა და მტრობისა, შიშისა და უიმედობისა;

იშვა ყრმა პირველ საუკუნეთა, რომელმან მოგვფინა ნათელი და მადლი სიყვარულისა.

მაშ, მოვედით, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, დავეწაფოთ წყაროს უკვდავებისას და განვიკურნოთ წყლულებათაგან სულისა და ხორცისა, სადიდებელად ღვთისა და საცხოვნებელად ჩვენდა.

იხარეთ და იდღეგრძელეთ მრავალსა წელსა მრავალჟამიერ.

თქვენთვის მლოცველი

ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტი დანიელი



ლოცვით ყველაფერი მიიღწევა

ლოცვა საკუთარი თავის შეცნობაა. ლოცვა სათნოების გამიჯნაა ცოდვისაგან. ლოცვა სულის განწმენდაა ამპარტავნობისა და სიბოროტისაგან. ეს უმოკლესი გზაა ბედნიერებისა და სიამოვნებისაკენ. ეს სიყვარულია ყოველივე იმისადმი, რაც ღმერთმა შექმნა, ანუ სულიერი მდგომარეობა, რომელიც ადამიანს ღმერთთან აახლოვებს. ადამიანი კი...

„ადამიანი არის ყველაზე დიდი ფასეულობა, რაც არსებობს დედამიწაზე...“ ამ ჭეშმარიტებით დაიწყო თავისი დასკვნითი საუბარი უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საპატრიარქოს რეზიდენციაში 3 იანვარს იქ შეკრებილი ადამიანების წინაშე. აუდიტორიას აფხაზეთის წარმომადგენლობა შეადგენდა, სწორედ მათ ერგოთ უდიდესი პატივი, პირველებს მიელოცათ პატრიარქისთვის დაბადების დღე, 4 იანვარი.

პატრიარქი საუბრობდა დინჯად, რბილი, ალერსიანი ხმით და ისეთი გრძნობით, მის მიერ შექმნილი საგალობლებიდან რომ მოედინება. გარეგნულად მის მიერვე დაწერილი ხატებიდან გადმოსულ წმინდანს ჰგავდა. „მასთან შეხვედრა გვავიწყებს ყველაფერს ცუდს და ბედნიერებით გვავსებს“ — აღმოხდება ზურაბ სოტკილავას მიღების მსვლელობისას. ამ დღეს სამ სოხუმელ ხელოვანს ეკუთვნოდა შეხვედრის მხატვრული ნაწილის წარმოდგენა. ზურაბ სოტკილავამ, თემურ ელიავამ და მარიკა გულორდავამ ააჟღერეს ქართული და კლასიკური საოპერო არიები და სიმღერები. საღამოს სასიამოვნო სიურპრიზი გახდა კიდევ ერთი სოხუმელი მომღერლის — ახალგაზრდა მარიკა ნაჭყებიას დებიუტი, რომელიც ამჟამად მოსკოვის პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში ზურაბ სოტკილავას კლასში სწავლობს.

საღამომ დიდი სიყვარულის ატმოსფეროში ჩაიარა. იგი გახსნა და მიჰყავდა სვეტლანა ქეცბას. მოსალოცი სიტყვები წარმოთქვეს: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი აფაქიძემ, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე გენო კალანდიამ, საქართველოს სახალხო არტისტმა დიმიტრი ჯაიანმა, პატრიარქისადმი მიძღვნილი ექსპრომტად შექმნილი ლექსი წაიკითხა ნანა ყიფიანმა, რომლის საერთო განწყობილებაც ნათლად იკითხება ქვემოთ მოტანილ ერთ სტროფში:

„ ჩემო აფხაზეთო,
ფრთებჩამოგლეჯილო,
შენ ჩემო სისხლო, ჯიშო ქართულო,
ვინ მიგაძინა სალათას ძილით,
ვინ დაგიკნინა ამაყი სული.“

ამ შეხვედრამ, როგორც ყველა სხვამ, კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რამდენად დიდია სიყვარული

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

და პატივისცემა მისი უწმიდესობის მიმართ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველი სიტყვა, ნათქვამი უბრალოდ, გასაგებად, გვამაღლებს, ვითარცა ლოცვა, აღგვავსებს შემოქმედისადმი მადლიერებით, გვიცავს უიმედობისა და სასოწარკვეთილებისაგან, გვასწავლის განგების მორჩილებას, გვმოძღვრავს, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ სულიერ სიმაღლეს. ეს არის საფუძველი იმისა, რომ ამ საღამოსაც ყველა მონაწილე თუ დამსწრე გაცისკროვნებული სახით ტოვებდა პატრიარქის რეზიდენციას, გულწრფელ მადლობას სწირავდა სულიერებისა და კულტურის ცენტრს შეხვედრის ორგანიზებისათვის.

სხივი, რომელიც გზას გვინათებს

ქალბატონ სვეტლანა ქეცბას მოწვევით მე და ჩემი და-ძმა — თამარ და გიორგი შერვაშიძეები საქართველოს საპატრიარქოში მისი უწმიდესობის ილია II დაბადების დღისადმი მიძღვნილ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით გამართულ საღამოზე ვიმყოფებოდით.

პატრიარქს საჩუქრად აფხაზური ხალხური სიმღერა „ვარადა“ ვუძღვენით, რომელსაც ჩვენ ხშირად ვმღერით და მისი ნაღვლიანი ჟღერადობის მიუხედავად, ძალიან გვიყვარს. სიმღერა, მუსიკა ჩვენი ოჯახისა და გვარის გენეტიკური ნიშანია. ჩვენი საგვარეულო განსაკუთრებული მუსიკალობით გამოირჩეოდა. დედა რამდენიმე მუსიკალურ საკრავზე უკრავდა. ეს ტრადიცია ჩვენს შვილებსა და უკვე შვილიშვილებშიც გრძელდება. ამ საღამოს ჩვენს ნამღერ„ვარადას“ სხვა პეწი ჰქონდა. ის-ის იყო სიმღერა წამოვიწყეთ,რომ ჩვენი სასიქადულო მომღერალი ზურაბ სოტკილავა ჩაგვერთო. მისმა გულში ჩამწვდომმა ხმამ და შესრულების თავისებურმა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელმა, ჯადოსნურმა მანერამ ჩვენს სიმღერას მეტი ეშხი და ლაზათი შესძინა.

მეორე დღეს, 4 იანვარს, საპატრიარქოში უკვე როგორც“ქართული ჰერალდიკის სახლის“ წარმომადგენლები: გიორგი შერვაშიძე, ლევან და კოკი დადიანები, ოთარ ციციშვილი, თამაზ ყიფიანი, მაია დადიანი და მე მივედით.

იმპროვიზებული კონცერტისა და მილოცვების შემდეგ ისევ გაჟღერდა აფხაზეთის თემა, პატრიარქმა მიმართა იქ დამსწრე საზოგადოებას. მოგეხსენებათ, ადამიანის ბუნება ასეთია, რაც თვითონ აწუხებს და აწვალებს, რაზეც ხშირად ფიქრობს, ის ამახსოვრდება უფრო კარგად. იმ დღიდან ყურში ჩამესმის მისი უწმიდესობის სიტყვები (და ვიმეორებ ყველგან), რომლებიც დაახლოებით ასე ჟღერდა: „რაც შეეხება აფხაზეთს, გარეშე მტერს მაშინ დავამარცხებთ, როდესაც ჩვენში, ჩვენს სულში დავამარცხებთ ნამდვილ მტერს — ამპარტავნებას, ეგოიზმს, ქედმაღლობას...“

დიდი ხნის წინ ვნახე უცნაური ბარელიეფი ერთ-ერთი ტაძრისა. ეს იყო მშვილდ-ისარმომარჯვებული კაცი — კენტავრი, რომელსაც ისრის წვერი თავისივე ცხოველური ნახევრისკენ ჰქონდა დამიზნებული. ბარელიეფს ერქვა „ადამიანი,რომელიც თავის თავში ჰკლავს მხეცს“. ოდესმე, ალბათ, ჩვენც განვთავისუფლდებით ჩვენშივე ჩამწყვდეული მხეცისაგან, თუ გავაცნობიერებთ მას და ვაღიარებთ მის არსებობას.

მის უწმიდესობასთან ურთიერთობის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ მისი აზროვნების სისრულე, სიბრძე, მისი გულწრფელობა განგვაწყობს ფიქრისკენ. თანაც ეს ფიქრი სცილდება ყოველდღიურს, ყოფითს. ფიქრობ და ეძებ გამოსავალს, რა შეიძლება გააკეთო სხვისთვის, უცხო ადამიანისთვის უანგაროდ, უბრალოდ სიკეთისთვის. მხოლოდ მაშინ ებრძვი, ალბათ, შენში ჩაბუდებულ მხეცს.

ყველა დროში, რაგინდ რთული და არეულიც არ უნდა იყოს ის, შეიძლება რაღაც დადებითის მონახვა, ორიენტირის პოვნა. სიბნელეს თვალი მალე ეჩვევა და რაღაც მკრთალ შუქს მართლაც ვხედავ. ეს არის სხივი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, არ ავირიოთ, გზა გავიკვლიოთ და სწორად ვიაროთ.

ასმათ შერვაშიძე,
ქართული ჰერალდიკის სახლის თავმჯდომარე

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის 2009 წლის მუშაობის ანგარიში

2009 წელს ცენტრის მიერ განხორციელებულმა გეგმურმა ღონისძიებებმა ასახვა ჰპოვა საანგარიშო წლის ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენებში. მათში გამოქვეყნებულ იქნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები, ინფორმაციები სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე, საეკლესიო თარიღებსა თუ დღესასწაულებზე. თითქმის ყოველ ნომერში მოთავსდა რუბრიკა „ჩვენი მოძღვარი“, რომელშიც დეკანოზი ბიძინა (გუნია) კითხვა-პასუხის ფორმით გვესაუბრებოდა ჩვენი თანამოძმეების სულიერი ცხოვრების შესახებ. რუბრიკა „პირველად იყო სიტყვა“ ირაკლი აბაშიძის 100 წლისთავის საიუბილეოდ პოეტის ლექსებს მიეძღვნა. გამოქვეყნდა ლექსები: „ხმა სამრეკლოსთან“ (მარტი), „ხმა კატამონთან“ (აპრილი), „ხმა ზეთისხილის ბაღში“ (ივნისი), „ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან“ (ივლისი), „რუსთაველის ნაკვალევზე“ (სექტემბერი), „სიმღერა თბილისზე“, „ბიჭვინთა და გაგრა“, „მცხეთა“ (ოქტომბერი), „ცა აფხაზური“, „რა დაგავიწყებს“, „სამი ციხე“ (ნოემბერი), „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“ (დეკემბერი).

აღნიშნულ თარიღს მიეძღვნა ნოემბრის თვის ნომერი, რომელშიც მოთავ-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

სდა როინ მეტრეველის, გენო კალანდიას, ნინო ზაალიშვილის, მანანა კორძაიას, ავთანდილ საყვარელიძის, მარინე ჯიქიასა და სვეტლანა ქეცბას წერილები; ნომერი დაიბეჭდა და 23 ნოემბერს რუსთაველის თეატრში პოეტის საიუბილეო საღამოზე მოსულ მაყურებელს დაურიგდა საღამოს პროგრამასთან ერთად.

რუბრიკაში „ჩვენებურები“ გამოქვეყნდა მასალები: სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები სოჭში (ივნისი), ახალგაზრდა მხატვარი დავით კვანტალიანი (ოქტომბერი).

2008 წლის მუშაობის ანგარიში დაიბეჭდა თებერვლის ნომერში.

ბიულეტენში, რომელიც მიეძღვნა „ილიაობას“ (აგვისტო), მკითხველი გაეცნო წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელს, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მიერ შექმნილ საგალობელს „წმიდაო ღმერთო“.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ბიულეტენში გამოქვეყნდა აფხაზეთისა და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილები, მეუფის რადიოინტერვიუ, სადაც აფხაზეთის სულიერი მოძღვარი მართლმადიდებლური საქართველოს საამდღეისო მოვლენებზე საუბრობს.

იანვარში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აკაკი წერეთლისა და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. გიორგის ორდენოსანი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, აფხაზეთისა და ფაზისის აკადემიების ნამდვილი წევრი ჯანო ჯანელიძე. ამ მრავალმხრივ მოღვაწესთან გამოთხოვებას ცენტრმა ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სპეციალური გამოშვება მიუძღვნა.

დევნილი საზოგადოების სულიერი სამყაროს გამდიდრების და განწმენდის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად განხორციელდა მოლოცვითი მოგზაურობა დავით გარეჯში. აფხაზეთის სახელისუფლებო სტრუქტურების 30-მდე თანამშრომელმა სწორედ წმ. გიორგისა ხსენების დღეს, 23 ნოემბერს, მოილოცა ერთ-ერთი კურთხეული სამონასტრო კომპლექსი.

2009 წელს სულიერებისა და კულტურის ცენტრმა სახსრების ეკონომიის ხარჯზე შეიძინა როიალი, რამაც საშუალება მოგვცა ცენტრის ოფისში რამდენიმე უფასო სალონური საღამოს მოწყობისა. ასე, მაგალითად: 10 მარტს ქალთა საზეიმო დღეებს მიეძღვნა „მუსიკალურ-პოეტური საღამო“, ხოლო 20 მარტს საქართველოში ჩეხეთის საელჩოსა და ჩეხურ სათვისტომო „ზლატა პრაღასა“ და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთად აღვნიშნეთ ჩეხური კლასიკური მუსიკის ბრწყინვალე წარმომადგენლის ბედრჟიხ სმეტანას გარდაცვალებიდან 125 წლისთავი. 13 თებერვალს აფხაზეთის მკვიდრთ მიეცათ ერთმანეთთან შეხვედრის საშუალება და ბოლოს, 28 დეკემბერს, 30-მდე დევნილი ბავშვისათვის ცენტრის ოფისში მოეწყო საახალწლო ნაძვის ხე. 20 ბავშვის კოლექტიურად მოყვანის ორგანიზაცია უზრუნველყო განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის სამინისტრომ.

აფხაზეთის ინტელიგენციის მონაწილეობით ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმში გავიხსენეთ კომპოზიტორის უკვდავი ქმნილების „აბესალომ და ეთერის“ დადგმის დღე — 1919 წლის 21 თებერვალი. კომპოზიტორისა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული აფხაზეთთან. მის მიერ ჩაწერილი აფხაზური ხალხური სიმღერები და ოპერა „აბესალომი და ეთერი“ არაერთხელ აჟღერებულა სოხუმში. მუზეუმის ექსპონატების გაცნობის შემდეგ დამსწრეებმა მოისმინეს სხვადასხვა თაობის შემსრულებელთა (რეჟისორი გიზო ჟორდანია, მომღერლები — მედეა ამირანაშვილი, ელდარ გეწაძე, თემურ გუგუშვილი, მარიცა მაღლაფერიძე და სხვ.) მოგონებები ოპერის დადგმებზე საქართველოსა თუ საზღვარგარეთ, აფხაზეთის წარმომადგენელთა გამოსვლები.

ცენტრმა დაამკვიდრა ყოველი წლის 21 თებერვალს სხვადასხვა ფორმით აფხაზი მწერლის დიმიტრი გულიას დაბადების დღის აღნიშვნა. გასულ წელს ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის საკონფერენციო დარბაზში გულიასეულ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ისაუბრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრულმა პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ, ორ უცნობ გამოუქვეყნებელ გულიას ზღაპარზე და მის ღვაწლზე აფხაზური ლექსიკის კვლევის საქმეში ინფორმაცია მოგვაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ ჟორდანიამ, რამდენიმე პოეტური ნიმუში აფხაზურ ენაზე წაიკითხა ჟურნალისტმა რიმა ოსიამ. შეხვედრა დასრულდა ქართულ-აფხაზური ხალხური სიმღერებით, რომელიც შეასრულა ქვაშვეთის ტაძრის მგალობელთა გუნდმა.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელისადმი პატივისცემის, დევნილი მოსახლეობის მხარდაჭერისა და საერთოდ, მისი მოღვაწეობისადმი მადლიერების გამოსახატავად 25 მაისს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ შედგა კონცერტი „სულის საგალობელი“, რომლის პროგრამა აფხაზური და ქართული ფოლკლორული და პროფესიული მუსიკის შედევრებზე აიგო.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ 18 ივნისს აღვნიშნეთ ქართული სარომანსო ლირიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის გიორგი ჩუბინიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავი. ამ ღონისძიებაში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრის ახალგაზრდა წამყვანი სოლისტების და ეკა მამალაძის შესრულებით აჟღერდა კომპოზიტორის რომანსები ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლისა და სხვა პოეტების ლექსებზე, საღამოს გამართვაში ფინანსური მხარდაჭერა გაგვიწია საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ და ქალაქ თბილისის მერიამ.

საქართველოში გერმანელთა ასოციაცია „აინუნგთან“ ერთად ცენტრმა გოეთეს საზოგადოების დარბაზში 31 ოქტომბერს საკაცობრიო მნიშვნელობის მოაზროვნის — ფრიდრიხ შილერის დაბადების 250 წლისთავი აღნიშნა.

ილიაობის დღესასწაულს, რომელიც სამების საკათედრო ტაძარში 2 აგვისტოს გაიმართა, ერთი დარბაზი დაეთმო გამოფენას „ჩემი აფხაზეთი“. აქ წარმოდგენილი იყო აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების ამსახველი ასზე მეტი სურათი. გამოფენას დაესწრნენ აფხაზეთიდან დევნილები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. გამოფენა განმეორებით 22 დეკემბერს თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში გაიმართა აკადემიის სტუდენტებისათვის.

ხსოვნისა და იმედის დღეს დაუკავშირდა 6 ოქტომბერს „მუზას“ საკონცერტო დარბაზში გამართული საღამო, რომელიც გახსნა ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ. საღამოზე ქართველ და აფხაზ ხელოვანებთან ერთად მონაწილეობდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი. საღამოს დაესწრო და დასკვნითი სიტყვით გამოვიდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

ცენტრის მუშაობაში აღსანიშნავია უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორიც იყო 7 მაისს პატრიარქის მიერ სოხუმის უნივერსიტეტის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმ. გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვება და 17 მაისს პატრიარქის რეზიდენციაში ამ მაღალი ჯილდოს აღსანიშნავი საზეიმო ცერემონიალი.

დაუვიწყარი გახდა ცენტრის თანამშრომლებისა და სახელმწიფო დამსახურებული კვარტეტის მუსიკოსებისათვის 10 ივნისს სტუმრობა პატრიარქთან მცხეთაში, სვეტიცხოვლის რეზიდენციაში. ამ სახელოვანმა კოლექტივმა, სახალხო არტისტების, რუსთაველისა და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატების: კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშ-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-5 გვ.)

ვილის, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილის შემადგენლობით პატრიარქის, სვეტიცხოვლის ტაძრის სამღვდელოებისა და მათი სტუმრებისათვის შესრულა იოზეფ ჰაიდნის კვარტეტი „ჯვარცმული ქრისტეს 7 უკანასკნელი სიტყვა“.

ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა მეუფე დანიელის ხელდასმით გამართულ ღონისძიებებში: პრეზენტაცია წიგნისა „ღვთისა ძალითა“, რომელიც მიეძღვნა წარმოშობით სოხუმელ იღუმენ ელისეს (ბელქანიას) ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ათონის ზოგრაფის მონასტრის წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ხატის ასლის ჩამობრძანება თბილისში, წმ. სვიმონ კანანელის ხსენების დღე სამების საკათედრო ტაძარში, იოანე ოქროპირის ხსენების დღე მახათას მთაზე, გრიგოლ მეგრელიშვილის წიგნის „ბედის მდინარის“ პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ და სხვ.

ცენტრის ღონისძიებებში სისტემატურად მონაწილეობენ აფხაზეთის მკვიდრი ხელოვანები: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, პიანისტი თემურ ელიავა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მომღერალი მარიკა გულორდავა (სოპრანო), უკრაინის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, მომღერალი თემურ ფარულავა (ტენორი), მევიოლინე ვაჟა ჩუბინიძე, სახელმწიფო და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატი, მწერალი გურამ ოდიშარია, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე პოეტი გენო კალანდია, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღას“ მსახიობები და სხვ. დასახელებულ ხელოვანებთან ერთად ცენტრი სხვადასხვა ფორმით პროპაგანდას უწევს, აგრეთვე, აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების შემოქმედებას.

2008-2009 სასწავლო წლის დამთავრებას მიეძღვნა კონცერტი და გამოფენა „ჩემი აფხაზეთი“ (22 ივნისი). კონცერტში მონაწილეობდა დევნილი ოჯახების მომავალი თაობა (სულ 7 ახალგაზრდა), რომელმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწია გასულ წელს. მათ შორის იყო I სამუსიკო კოლეჯის მოსწავლე ანა ყიფიანი, რომელიც იმავე ღამეს გაემგზავრა მორიგ საერთაშორისო კონკურსზე შტუტგარტში, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა. რაც შეეხება გამოფენას, აქ მაყურებელი მხოლოდ ერთი სოხუმელი ახალგაზრდის — დავით კვანტალიანის ფერწერულ ნამუშევრებს გაეცნო. კვანტალიანმა 2008-09 სასწავლო წელს წარმატებით დაამთავრა სამხატვრო აკადემია. აკადემიის დირექციის რეკომენდაციით იგი მივლინებული იქნა დრეზდენის მუზეუმში მასტერკლასების გასავლელად, ხოლო მისი სადიპლომო ნამუშევრები მადრიდის გამოფენაზე გაიგზავნა.

6 დეკემბერს ქვაშვეთის წმ. გიორგის სამრევლო სკოლაში ცენტრის ინიციატივითა და ქალბატონ ქეთევან კაჭარავას პატრონაჟით მუშაობა დაიწყო საკვირაო სკოლამ 9-13 წლის ასაკის დევნილი ბავშვებისათვის. ხელმძღვანელად მოვიწვიეთ საქართველოს სახალხო არტისტი, რეჟისორი გურამ მელივა. სკოლის ნაყოფიერი მოღვაწეობა დიდადაა დამოკიდებული აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანადგომაზე, რომელმაც ითავა ჯგუფის დასწრების ორგანიზება.

ახალგაზრდების სრულყოფილი აღზრდა-განვითარების მიზნით მ/წ იანვრიდან ცენტრმა გააგრძელა ხელშეკრულება პედაგოგთან, რომელსაც ევალება აფხაზეთის #2 საჯარო სკოლაში (ვაშლიჯვარი) რელიგიის კაბინეტისა და ცენტრთან არსებული საეკლესიო ნაქარგობის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელობა. გასული წლის იანვარში ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამრევლო სკოლის დარბაზში მოეწყო ამ ბავშვების მიერ შესრულებული ნაქარგობების გამოფენა-გაყიდვა.

გაფორმდა ხელშეკრულება ცენტრსა და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალს შორის ზრდასრულთა განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულებით გამოყოფილი გრანტის საფუძველზე (10 600 ლარი) მოეწყო სახელოსნო, მომზადდა პირობები, რათა თებერვლის თვიდან ივნისის ჩათვლით ორი ჯგუფისათვის (დღის და საღამოს საათებში), განხორციელებულიყო ახალგაზრდების პროფესიული მომზადება-გადამზადება ხატწერაში, მინანქრის დამუშავებასა და სხვ.

ხატწერის, ნაქარგობის, ტიხრული მინანქრის შემსწავლელი წრეების ნამუშევრების გამოფენით სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ „აფხაზეთის კულტურის დღეების“ დასკვნით ცერემონიალში (8 ნოემბერი).

მხიარული ნაძვის ხე

ზამთრისათვის უჩვეულოდ თბილი დღე იდგა. სულიერებისა და კულტურის ცენტრის ოფისში დღის 12 საათისათვის ყველაფერი მომზადდა საახალწლო ზეიმის მოსაწყობად დევნილი ბავშვებისათვის. პირველ ოთახში ვერცხლისფერი, ხოლო მეორეში უფრო დიდი, მწვანე ნაძვის ხე მოვკაზმეთ. შეხვედრის დაწყებამდე მანანა ბერულავა როიალს მიუჯდა და საბავშვო სიმღერების რეპერტუარის შერჩევას შეუდგა, თან დასძინა: „ახალი სიმღერა დავწერე, მომღერალმა მანანა პაპიაშვილმა შეისწავლა კიდეც და თუ საჭიროდ ჩათვლით, ბავშვებს სიამოვნებით ვუმღერებთო“. სიმღერა თავისი მელოდიუროობით, განსაკუთრებით კი შინაარსით ეხმიანებოდა დევნილების სულიერ მდგომარეობას და მისაღები იყო ამ ტიპის ზეიმისათვის. სიმღერის ტექსტიც თავად ბერულავას ეკუთვნის. მასში გადმოცემულია იმედი, რომ გავერთიანდებით და აღვადგენთ იმ ურთიერთობებს, რომელიც ჩვენ შორის ადრე სუფევდა.

ცოტა ხნის მოლოდინის შემდეგ ბავშვები ორგანიზებულად შემოვიდნენ ოფისში. მათი თავშეყრის და წამოყვანის ორგანიზაცია იტვირთა განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის სამინისტროს სამოქალაქო ინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველოს უფროსმა თამარ მარშავამ. ნაძვის ხეების დანახვისას

ბალღური მიამიტობით აღბეჭდილი სახეები ბავშვებს გულწრფელი სიხარულით შეეცვალათ. გაუცხოების ელემენტი თავიდანვე მოუხსნა მათ მანანა ბერულავას მიერ ბასტი-ბუბუს რეპერტუარიდან რომან რცხილაძის სიმღერა „ფუტკრის“ პირველი აკორდების გახმოვანებამ. ბავშვებმა სიმღერა თოვლის გოგონასთან, ცენტრის თანამშრომელ

(გაგრძელება მე-7 გვ.)

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ნათია არქანიასთან ერთად ხალისიანად დააგუგუნეს. მათი სიხალისე და სილაღე კიდევ უფრო გაიზარდა თოვლის ბაბუას კოსტიუმში გამოწყობილი ცენტრის იურისტის ალექსანდრე ფარფალიას შემოსვლის შემდეგ. თოვლის გოგონასა და თოვლის პაპას წახალისებით ბავშვები, რომელთა წლოვანება 12 წელს არ აღემატებოდა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსის თქმასა თუ ცეკვაში. ხატია მატუამ, ბაჩანა ხუციანაშვილმა, ნიკა ლამანძიამ, ნიკა ქვარანძიამ და სხვებმა წარმოთქვეს ლექსები საქართველოზე, ახალ წელსა და ნაძვის ხეზე, დედიკოსა და მამიკოზე. ნაძვის ხის ირგვლივ ტრიალისას ბექა ლამანძიამ, ეკა წოწონავამ, ნინო ბურდულმა და სხვებმა თავიანთი საყვარელი სიმღერები შეასრულეს. ეკა წოწონავამ და ნინო ქებაძემ ინდივიდუალური ცეკვით გამოიჩინეს თავი. შეხვედრის დასასრულს თოვლის ბაბუამ საახალწლო საჩუქრები დაარიგა და ყველამ ერთად რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“ იმღერა.

ეს მოხდა 2009 წლის 28 დეკემბერს. ნორჩებს ახალი წლის დადგომა მივულოცეთ და საუკეთესო სურვილებით დავემშვიდობეთ.

სიახლე

სულიერი მოწყლების საკითხი

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით აფხაზეთიდან დევნილთათვის სულიერი მოწყალების მთელი რიგი ღონისძიებები იგეგმება. ამ ღონისძიებებში ჩართულნი იქნებიან მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II ლოცვა-კურთხევით სასულიერო პირები, ასევე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

უკვე შედგა მოსამზადებელი შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით. **პირველი** შეხვედრა მოეწყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სტუდენტებს გაეცნოთ ის საკითხები, თუ მღვდლებთან ერთად როგორ აღასრულონ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში ოჯახების მონახულება და მათი სულიერი დამოძღვრა. **მეორე** შეხვედრა მოხდა ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში, სადაც მღვდლებს კონკრეტულად განემარტათ მათი სამოქმედო ასპარეზი, ხოლო 10 თებერვალს **მესამე** შემაჯამებელი შეხვედრა ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში. შედგა, რომელსაც მეუფე დანიელი წარუძღვა, მოხდა როგორც სტუდენტების, ისე სასულიერო პირების ერთობლივი შეხვედრა და კიდევ ერთხელ განისაზღვრა სამოქმედო გეგმები. შეხვედრას ესწრებოდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ჯონი აფაქიძე.

თავდაპირველად შეირჩა 15 მოძღვარი, რომელთაც გაუნაწილდათ თითო-თითო 5-კაციანი ჯგუფი. ეს არის დასაწყისი ეტაპი, რომელიც თვეობის სემდგომ დევნილთა მთელ მასას მოიცავს. განემარტათ, თუ რა უნდა აკეთონ. განაწილებულია, თუ სად უნდა მივიდნენ, რომელ კორპუსში, თუ რა ადგილას. სტუდენტთა ეს ჯგუფი მოძღვართან ერთად გაარკვევს, მოუნათლავი ხომ არ არის ვინმე, ან ჯვარდასაწერი, ან ავადმყოფი საზიარებელი ან რაიმე ისეთი პრობლემა ხომ არა აქვთ, რომელიც მღვდლის ჩარევით უნდა გადაწყდეს. მოხდება მოსანათლთა კატეხიზაცია, ანუ მომზადება ნათლობისათვის და შემდეგ, რა თქმა უნდა, ნათლობა. ასევე ჯვარდაუწერელთათვის განმარტება იმისი, შეგონება, დალოცვა, თუ რას ნიშნავს ოჯახი, რისთვის იქმნება იგი. ეს არის უცილობელი ცხოვნების გზაზე. ასევე ავადმყოფთა ზიარება, გამოვლენა ნიჭიერი ახალგაზრდებისა, რომელთა ჩართვა შეიძლება გარკვეული შესაძლებლობების ფარგლებში სხვადასხვა სამრევლო სკოლაში, სადაც ხატწერის, ქარგვის, ხეზე კვეთის, წიგნის კითხვის ხელოვნებას დაეუფლებიან. ასევე ფართო თანამშრომლობა განისაზღვრა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრთან, სადაც მოქმედებს პროგრამა „დავითიანი“ და ამ პროგრამაში შეიძლება მოხდეს მათი ჩართვა.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თავდაპირველად ეს 15 ჯგუფი მოემსახურება მხოლოდ დევნილთა მცირე ნაწილს ამ ეტაპზე. ეს არის სასინჯი, ე.წ. საპილოტო პერიოდი, რომელიც 3 თვით განისაზღვრება და შემდეგ უკვე სხვა ინსტიტუტების სტუდენტებისა და სხვა სასულიერო პირების დახმარებით იგეგმება უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიებები.

სათემო განათლების ცენტრები სამეგრელოში

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) კურთხევითა და ხელშეწყობით სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტთან განხორციელდა ახალი პროექტი დევნილთა მხარდაჭერის მიზნით. პირველი პროექტის ფარგლებში 16-დან 25 წლამდე ასაკის დევნილმა ახალგაზრდებმა შეისწავლეს ხატწერა, მინანქარზე მუშაობა და სხვ. ამჯერად დასახელებულმა ინსტიტუტმა ევროკომისიასა და „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ ერთად დააფინანსა პროექტი, რომლის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. პროექტი 18-თვიანია. სათემო განათლების ცენტრების დაარსება და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ამ პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია. 28 იანვარს დაბა ჯვარში საზეიმოდ გაიხსნა სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრები, რომლებიც თებერვლიდან უფასო

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასაწყისი მე-7 გვ.)

საგანმანათლებლო მომსახურებას გაუწევენ როგორც დევნილებს, ისე დაინტერესებულ ადგილობრივ მოქალაქეებს. შეთავაზებული იქნება: პიროვნული განვითარების ტრენინგები, პროფესიული მომზადების, კომპიუტერის და ინგლისურის შემსწავლელი კურსები, ახალგაზრდული პროგრამა (სამოქალაქო განათლება, სპორტული ღონისძიებები, სხვადასხვა ინტერესთა კლუბები და ა.შ), იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, საჯარო ლექციები და მრავალი სხვა.

ცენტრის საზეიმო გახსნის ცერემონიალში მონაწილეობისათვის მივლინებულ იქნა სულიერების და კულტურის ცენტრის იურისტი ალექსანდე ფარფალია.

„ჰირველად იყო სიტყვა...“

„... ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

გაგრატ შინკუბა

მთაწმინდა

მთაო წმინდაო, მზიან მხარეში
შენს სანახავად ისევ მოველი.
ბრწყინავს დიდებულ მატიანეში
შენი სახელი ოქროს მთოველი.
უქარო დღეა და სიწყნარეა,
ამოველ სიბრძნის დასაწყებლად
და არწივივით არ მიჩქარია
ფრთების გაშლა და მაღლა აფრენა,
რადგან მაღლა ვარ, შენს თბილ უბეში,
ვხედავ ბალახებს ნამით განბანილს!
ვხედავ, ვით ჭეკავის ცის სილურჯეში
უბერებელი ქართლის მთა-ბარი.
შენ ბუქი გადგას შვილთა მამაცთა,
მათი სავანე მხოლოდ შენა ხარ.
წერდნენ, იბრძოდნენ, რათა ლამაზად
აეგავებული ქართლი ენახათ.

მთაწმინდავ, შენ ხარ მათი ნუგეში,
ბატიოსნების გასხივოსნება,
საუკუნიდან საუკუნეში
გადაგაქვს მათი წმინდა ოცნება.
თავზე ადგახარ ცმირთა საფანეს,
ისე, ვით დედა, დედა მარადი,
თავდადებულთა შთამომავალებს
შენი უქრობი შუქი დანათის.
შენს მკერდზე გაჩნდა სხივი დილის მზის,
კალთებს გეერება ოქროს ბწკალები,
შენ მეუფე ხარ დიდი თბილისის,
მარადიული მისი თვალები.
ახალმა ჭანგმა გაიწკრიალა
და ნაბერწკლები სიტეკვას დასცვივდა
და დილის დამწველ მზეში ბრიალებს
უძველესი და ნორჩი მთაწმინდა.

ღირსი ეფრემ ასური († დაახლ. 373-379)
28 (10.02) იანვარი

ღირსი ეფრემ ასური, სინანულის მოძღვარი, IV საუკუნის დასაწყისში დაიბადა ქალაქ ნიზიბიაში. მშობლები, ღარიბი მიწათმოქმედები - კეთილმსახურებით ზრდიდნენ შვილს, მაგრამ ეფრემი ფიცხი ბუნების გამო ხშირად ჩხუბობდა, დაუფიქრებლად იქცეოდა და ღვთის განგებულებაშიც კი ეჭვი ეპარებოდა. ერთხელ მას ცხვრების მოპარვა დასწამეს და საპყრობილეში გამოამწყვდიეს, სადაც ჩაესმა ხმა, რომელიც სინანულისა და გამოსწორებისაკენ მოუწოდებდა. განთავისუფლების შემდეგ ეფრემი განეშორა წუთისოფლის ამაო შფოთს და ნიზიბიის მთებში დაეყუდა. აქ მისი მოძღვარი შეიქნა ცნობილი ასკეტი იაკობი — ნიზიბიის ეპისკოპოსი (ხს. 13 იანვარს). მღვდელმთავრის ხელმძღვანელობით ღირსი მამა უხვად იხვეჭდა სხვადასხვა ქრისტიანულ სათნოებებს და სულიერებაშიც წარემატებოდა. იაკობი ეფრემის ხასიათსა და შემართებას სწორ მიმართულებას აძლევდა: ავალებდა ქადაგებების წარმოთქმას. წმიდანი მოძღვარს თან ახლდა 325 წელს ნიკეაში გამართულ I მსოფლიო კრებაზეც. ეფრემი იაკობის მორჩილებაში იმყოფებოდა 14 წლის განმავლობაში, მის აღსასრულამდე.

363 წელს, როცა ნიზიბია სპარსელებმა დაიპყრეს, ეფრემმა დატოვა უდაბნო და ერთ-ერთ მონასტერში დამკვიდრდა, ქალაქ ედესის მახლობლად. აქ მის გვერდით მოსაგრეობდნენ დიდი მამები, რომლებიც ლოცვასა და ფსალმუნთა გალობაში ატარებდნენ დროს. მათი თავშესაფარი გამოქვაბული იყო, ერთადერთი საკვები კი — მცენარეულობა. ასკეტურ ღვაწლს ღირსი მამა საღვთო წერილის შესწავ-

(გაგრძელება მე-9 გვ.)

(დასაწყისი მე-8 გვ.)

ლას უთავსებდა. უფალმა იგი მოძღვრობის ნიჭით დააჯილდოვა: ეფრემის ქადაგებებს მსმენელებზე განსაკუთრებული ზემოქმედება ჰქონდა, რადგან ღირსი მამა დარიგებებს საკუთარი თავის მხილებით იწყებდა. წმიდანი მსმენელებს სინანულისაკენ, სარწმუნოებისაკენ და კეთილმსახურებისაკენ მოუწოდებდა, ამხელდა ფართოდ გავრცელებულ არიანელთა ერესს. მისმა მადლმოსილმა სწავლა-მოძღვრებამ მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

ღირსმა მამამ ბევრი იღვაწა საღვთო წერილის, კერძოდ კი, მოსეს ხუთწიგნეულის განმარტებისთვის. მას ეკუთვნის მრავალი ლოცვა და საგალობელი. განსაკუთრებით ცნობილია ლოცვები წმიდა სამების, ძე ღვთისას, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ, საგალობლები ათორმეტი საუფლო დღესასწაულის განსადიდებლად.

ეფრემ ასურის ლოცვა „უფალო და მეუფეო“ დიდმარხვაში იკითხება და ქრისტიანებს სულიერი განახლებისაკენ მოუწოდებს. ეკლესია უძველესი დროიდანვე ფრიად აფასებდა ღირსი მამის ნაშრომებს; მიღებული იყო მათი კითხვა მართალთა ლიტურღიაზე, სახარების შემდეგ. ეფრემის ნაწერები ადრევე ითარგმებოდა სხვადასხვა ენებზე.

წმიდა მამა, სიმდაბლის გამო, თავს ყველაზე უღირსად თვლიდა. სიცოცხლის მიმწუხრზე იგი ეგვიპტეში გაემგზავრა დიდი მეუდაბნოე მამების ღვაწლის გასაცნობად. უკან გამობრუნებულმა, კაბადოკიის კესარიაში გამოიარა, ბასილი დიდთან (ხს. 1 იანვარს). დიდ მღვდელმთავარს მისი ხუცესად კურთხევა უნდოდა, მაგრამ ეფრემმა სიმდაბლის გამო უარი თქვა მღვდლობის პატივზე და ბასილი დიდმა დიაკვნად დაასხა ხელი ღირს მამას. ამ ხარისხში იმყოფებოდა იგი აღსასრულამდე. წმიდა მამას მღვდელმთავრობაც შესთავაზეს, მაგრამ მან, თავიდან რომ აეცილებინა ეს მძიმე ჯვარი, სალოსობა დაიწყო. როცა ედესაში საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა, წმიდა ეფრემმა თავისი შთამაგონებელი სიტყვით მდიდრები გლახაკების დასახმარებლად განაწყო, მორწმუნეთა შემოწირულობებით მან დავრდომილთა თავშესაფარი ააგო. შემდეგ კი ედესის მახლობლად, გამოქვაბულში განმარტოვდა და აქ მოღვაწეობდა აღსასრულამდე.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წიგნი I,
თბილისი, 2008 წ.

ლოცვა ეფრემ ასურისა

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისასა, მთავრობისმოყვარეობისასა და ცუდადმეტყველებისასა ნუ მიმცემ მე (მეტანია).

ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე, მონასა შენსა (მეტანია).

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თჳსთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ (მეტანია).

ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე (12-ჯერ მცირე მეტანიებით).

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწვლილველობისასა, მთავრობისმოყვარეობისასა და ცუდადმეტყველებისასა ნუ მიმცემ მე.

ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე, მონასა შენსა.

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თჳსთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ (მეტანია).

საეკლესიო კალენდარი

2 მარტი (სამშ.) — ღირ. მოწამე თევდორე აჭარელის ხსენება (ოსმალთაგან წამებულისა (XVIII-XIX სს.).
6 მარტი (შაბ.) — მიცვალებულთა მოხსენიების დღე.
7 მარტი — ჯვრის თაყვანისცემის კვირა.
— ცხრა ყრმა კოლაელთა ხსენება.
9 მარტი (სამშ.) — წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად და მეორედ პოვნა.
10 მარტი (ოთხშ.) — დიდი მარხვის განზოგება.
14 მარტი (კვ.) — ღირ. იოანე კლემაქსის ხსენება.
19 მარტი (პარ.) — მღვდელმოწამე დოსითეოზ ქუთათელის ხსენება.
20 მარტი (შაბ.) — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დაუჯდომელის გალობა.
21 მარტი (კვ.) — ღირ. მარიამ მეგვიპტელის ხსენება.
22 მარტი (ორშ.) — 40 მოწამეთა, სებასტიის ტბასა შინა წამებულთა ხსენება.
23 მარტი (სამშ.) — ღირ. იოანე ხახულელის ხსენება (X- X I სს.).
25 მარტი (ხუთშ.) — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917 წ.).
— წმ. მეფის დემეტრე თავდადებულის ხსენება (1289 წ.).
— წმ. გრიგოლ დიალოღონის, რომის პაპის ხსენება (604 წ.).
— ღირ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის ხსენება (1021 წ.).
27 მარტი (შაბ.) — მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება.
— ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი. (ხსნილი თევზით).
28 მარტი — ბზობა-ბაიაობის კვირა (იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში) (ხსნილი თევზით).
29 მარტი — დიდი ორშაბათი — წმ. ამბროსი ხელაიას ხსენება (1927 წ.).
30 მარტი (სამშ.) — ღირ. გაბრიელ მცირის ხსენება.

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

მშვიდობისათვის ყოველისა სოფლისა

შემოქმედმა ადამიანი მთელ ხილულ სამყაროზე აამაღლა, განაშვენა თავისი ხატებით, მიანიჭა გონება, თავისუფალი ნება, მარადიული სული, გული, რომელიც ღვთის სიყვარულს დაიტევდა და ამით მისი განსაკუთრებული, მაღალი დანიშნულება გამოკვეთა.

მიუხედავად ზემოხსენებული მაღალი მოწოდებისა, ადამიანი ხშირ შემთხვევაში ვერ გულისხმაჰყოფს უფლის შეგონებებს, რაც მიზეზი ხდება მცდარი და ღვთისთვის არასათნო გადაწყვეტილებებისა და მოქმედებებისა. გამოსავლის ძიებაში დაცემული ადამიანის გონება, ეშმაკის ცდუნებით, უკიდურესად რაციონალური, ამქვეყნიური მოსაზრებების ფონზე კიდევ უფრო ებმება მაცდურის მახეში და ავიწყდება უფლის სიტყვები: — „თვინიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (ინ. 15,5).

ამჟამინდელი მდგომარეობა ერთობ რთულია, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე ჩვენს ქვეყანაში — საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებულმა უმძაფრესმა მოვლენებმა არაერთი კითხვა დასვა, რომელთა შესახებაც სწორი პასუხებია გასაცემი, რის დროსაც უცილობლად სულიერი სწავლება უნდა გავითვალისწინოთ, რამეთუ ბრძანებს უფალი: —... „უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თჳსსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“ (რომ. 10,3).

ჭეშმარიტად შემაშფოთებელია აგრესიულობისა და ძალადობის ზრდა მთელ მსოფლიოში. საგანგაშოა ის გარემოება, რომ აგრესია და ძალადობა მილიონობით ადამიანს ეხება და ვრცელდება მსოფლიოს ახალ რეგიონებზე. ბოროტება წარმოშობს აგრესიულ ფანატიზმს, ეთნო-რელიგიურ კონფლიქტებს, სამოქალაქო ომებს, რამაც შეიძლება გლობალური ხასიათიც მიიღოს.

დღეს მსოფლიოს წინაშე დგას აქტუალური საკითხი: გარდაუვალია თუ არა ცივილიზაციათა დაპირისპირება და კონფლიქტი, რამაც შესაძლოა სრულიად დაასრულოს კაცობრიობის ისტორია; თუ გონივრული ნაბიჯებით შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ კეთილი ნების გამოვლენით სავსებით შესაძლებელია კონფლიქტების თავიდან აცილება.

ამდენად, თუ ჭეშმარიტად გვსურს მსოფლიოში არსებული არასტაბილური მდგომარეობის მიზეზთა გარკვევა და გამოსავლის მოძიება, გულისყური ფსალმუნთა წიგნის შემდეგ სიტყვებს უნდა მივაპყროთ: — „უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი,... რათამცა მტერნი მათნი დამემდაბლნეს, და მაჭირვებელთა მათთა ზედა დამცა მედგა ხელი ჩემი“ (ფს.80,13-14). აქ, ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ ზემომოხმობილ სიტყვებს: — „უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი“, რაც ფრიად საგულისხმო გახლავთ.

მშვიდობის გზით სვლა, კაცთა მოდგმის საუკეთესო თვისებების წინა პლანზე წამოწევა, დიდი მიზნისკენ მისი მოქცევა განწმენდით, სინანულით უნდა დაიწყოს. უმძიმესი მდგომარეობიდან მსოფლიოს გამოყვანა უთუოდ ადამიანის შინაგანი განწმენდისა და ამაღლების გზების ძიებასაც გულისხმობს.

ყოველივე ამის აღნიშვნა ერთობ საჭირო და აუცილებელია, რადგან არასდროს წარმოჩენილა ასე ცხადად დაცემული ადამიანის სახე, როგორსაც ამჟამად ვხედავთ, საამისოდ საფიქრალი კი ძალზე ბევრი გვაქვს. მარტო მე-20 საუკუნის გახსენება რად ღირს, როცა ყალბად გაგებულმა თავისუფლებამ კაცობრიობის ერთი ნაწილი ღვთისა, და აქედან გამომდინარე ზნეობის უბერებელი კანონების უარყოფამდეც მიიყვანა და მათგან „განთავისუფლებული“ ცოდვის მონებად აქცია.

საუკუნეების განმავლობაში, ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ წარმოებულმა მეთოდურმა ბრძოლამ თავისი შედეგი ნაწილობრივ მაინც გამოიღო. თანამედროვე კაცობრიობის უმეტეს ნაწილს ღვთის რწმენა უკვე დაკარგული აქვს და ფსევდოკულტურის, ფსევდოხელოვნებისა თუ ფსევდოფილოსოფიური აზროვნების უბადრუკი ნიმუშებით, მასში ბუნებითი შჯულის — სინდისის აღმოფხვრასაც ლამობენ. სამწუხაროდ, ამ პროცესების შესუსტება ჯერჯერობით არ შეინიშნება, მაგრამ უნუგეშოდ სრულიადაც არა ვართ, და თუ ჭეშმარიტი რწმენით, სიყვარულითა და სასოებით შევიმოსებით და სრულიად მივენდობით უფალს, ყველანაირ განსაცდელს გავუძლებთ, რადგან ვუწყით — „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28, მ.11.).

და კვლავ დავძენთ. ერთი თვალის გადავლებაც კი სავსებით საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებაში თითქმის სრულიად უგულებელყოფილია ზნეობრივი ნორმები, რის გამოც მავანთა ერთადერთ საზრუნავს ამქვეყნიური სიამოვნებისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს, რაც საბოლოოდ პიროვნების დეგრადაციის, კაცობრიობის სულიერი დაცემისა და ადამიანთა ურთიერთგაუცხოების საწინდარია. ამასთან შეგუება დამღუპველია. აქ ცივილიზებული ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა და ერთად დგომაა საჭირო.

სიკეთის, ურთიერთგაგების, მიმტევებლობის, თანადგომის, ერთობისა და ზნეობის განმტკიცებას უნდა დაეფუძნოს კეთილი ნების ადამიანთა ძალისხმევა, რადგან, როგორც სიბრძნით განთქმული წმიდა მეფე სოლომონი ბრძანებს, ღმერთი ზნედაცემულ ადამიანებში ვერ დამკვიდრდება: — „ბოროტის-მოქმედსა სულსა არა შევიდეს სიბრძნე, არცა დაიმკვიდრონ ხორცთა შინა განკაფულთა ცოდვათა. რამეთუ წმიდა სული სწავლისა ევლტინ ზაკუასა და განეშორის ზრახვათაგან უგულისხმოთა, ემხილოს, მორაიწიის მის ზედა სიცრუეი“ (სიბრძ. 1. 4-5).

ქვაშვეთის წმ. გიორგის
სახელობის ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქრისტეშობა ნაძვის ხე

გელათი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი